ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

24 ივნისი, 2022 წელი ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი N 2

11:00 სთ

კომისიის სხდომას უძღვებოდა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძე

სხდომას ესწრებოდნენ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის წევრები:

თინათინ ნიბლოშვილი

მარიამ ზაქარიაშვილი

კახაბერ ლაბუჩიძე

შალვა ოგბაიძე

კომისიის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხებს:

სხდომის დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელის მინიჭების შესახებ
2. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
3. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ
4. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ქირურგის, საზოგადო მოღვაწე ივან პრიბილის სახელის მინიჭების შესახებ
5. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, გუჯარეთის I ქუჩისთვის საზოგადო მოღვაწის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების შესახებ
6. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, იმერეთის ქუჩის II შესახვევისთვის, იმერეთის I გასასვლელისთვის, იმერეთის II გასასვლელისთვის, იმერეთის IV შესახვევისთვის პოეტის ვაჟიკა ფხოველის სახელის მინიჭების შესახებ
7. ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღისთვის წიგნის სახელის მინიჭების შესახებ
8. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ძმები ყურაშვილების სახელის მინიჭების შესახებ
9. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევისთვის ექიმის, პროფესორის გელა მუხაშავრიას ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ
10. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული ორი შესახვევისთვის მოჭიდავის ვანო წამალაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
11. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიოში, აგარაკის დასახლებაში, შუა მინდვრის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭების შესახებ

12. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, სესილია თაყაიშვილის ქუჩასთან არსებული უსახელო პარკისთვის ქართველი შინდლერების სახელის მინიჭების შესახებ
13. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქუჩის გაგრძელების შესახებ
14. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მონასტრის სახელის მინიჭების შესახებ
15. ქალაქ თბილისში, კრწანისის რაიონში, მარნეულის გზატკეცილთან მდებარე ოთხი უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლების ბადრი ჟვანიას, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, ფირუზ მოსიძის სახელის მინიჭების შესახებ
16. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭების შესახებ
17. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის უწერას II შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ
18. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, წყნეთში, ნუშის ბაღების ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ნაძვების სახელის მინიჭების შესახებ
19. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული სამხედრო ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელის მინიჭების შესახებ
20. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VII ქუჩისთვის პოლკოვნიკ ჯემალ გოგიტიძის სახელის მინიჭების შესახებ
21. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული ერთი გასასვლელისთვის გენერალ-მაიორის ზურაბ ნაირაშვილი სახელის მინიჭების შესახებ
22. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლების XI ქუჩისთვის გენერალ-მაიორის დავით მაისურაძის სახელის მინიჭების შესახებ
23. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის დირიჟორის ოდისეი დიმიტრიადის სახელის მინიჭების შესახებ
24. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, თეოდორე უშაკოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, ნავთლუღის დასახლების VIII ქუჩისთვის და მასთან არსებული სამი შესახვევისთვის მომღერლის ოლღა ბახუტაშვილის სახელის მინიჭების შესახებ
25. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ზღვის უბნის დასახლების III მიკრო/რ-ნის, I კვარტალში არსებული უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის გიორგი ჯოჯუას სახელის მინიჭების შესახებ
26. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, თემქის ქუჩისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის ლევან ჭოჭუას სახელის მინიჭების შესახებ
27. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, მალხაზ დოლიძის ქუჩის მონაკვეთისთვის, წყნეთის გზატკეცილის შესახვევისთვის, მასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის, უსახელო გასასვლელისთვის და ირაკლი უჩანეიშვილის I ჩიხისთვის, ფილოსოფოსის, მწერლის ჯანსუღ კორძაიას სახელის მინიჭების შესახებ

28. ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, უნივერსიტეტის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელის მინიჭების შესახებ.
29. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ორხევში, სერგეი ესენინის ქუჩის მონაკვეთისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ვაჟა ბანეთიშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ;
30. ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი # 147 ა კორპუსთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 1992 წელს ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებების დროს დაღუპული მებრძოლის გოჩა მორჩილაძის სახელის მინიჭების შესახებ
31. ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მარინა ჭყონია-სამარგულიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლის ილია ბაბუციძის სახელის მინიჭების შესახებ
32. ქალაქ თბილისში, ჩუღურეთის რაიონში, გაიანე ხაჩატურიანის ქუჩის სამი შესახვევისთვის და ერთი ჩიხისთვის თინა ენუქიძის შესახვევების სახელის მინიჭების შესახებ.
33. ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭების შესახებ
34. ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ
35. ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭების შესახებ

კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარესთან ერთად დღის წესრიგით წარმოდგენილი თითოეული საკითხი განიხილეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს.

კომისიის თავმჯდომარემ, ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო პირველი საკითხი, რომელიც შეეხება საბურთალოს რაიონში, სულხან ცინცაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის პოეტისა და მთარგმნელის დავით წერედიანის სახელის მინიჭებას. დავით წერედიანი თანამედროვეობის ერთ-ერთი გამორჩეული მთარგმნელი და პოეტია. კომისიის წევრებმა გაითვალისწინეს დავით წერედიანის დამსახურება და საკითხს დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მეორე საკითხი შეეხება გლდანის რაიონში, სოფელ გლდანში, გრიგოლ ორბელიანის I ჩიხისთვის, მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის და ორი ჩიხისთვის მსახიობის, ბარბარე გამრეკელის ქუჩის სახელის მინიჭებას. ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ბარბარე გამრეკელი არის XX საუკუნის დასაწყისის დამსახურებული მსახიობი. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს, რომელსაც კომისიის წევრებმა დადებითი რეკომენდაცია მისცეს.

მესამე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა სამგორის რაიონში, ქინძმარაულის ქუჩის მონაკვეთისთვის, მასთან არსებული ჩიხისთვის და ქინძმარაულის შესახვევისთვის საქართველოს ეროვნული გმირის ზურაბ იარაჯულის სახელის მინიჭების შესახებ. ზურაბ იარაჯული საქართველოს ეროვნული გმირია. ტერიტორიაზე არსებობს მისი სახელობის სკოლა. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

მეოთხე საკითხი შეეხება ისნის რაიონში, ვალერი ჩკალოვის ქუჩისთვის ივან პრიბილის სახელის მინიჭებას. იგი ცხოვრობდა ხსენებულ ქუჩაზე. მის სახელს უკავშირდება თბილისში პირველი ჰოსპიტალის დაარსება. კომისიამ საკითხი დადებითად გადაწყვიტა.

ასევე დადებითად გადაწყვიტა კომისიამ გუჯარეთის I ქუჩისთვის დავით ხელთუფლიშვილის სახელის მინიჭების საკითხი. ხსენებული ქუჩა მდებარეობს ისნის რაიონში, გუჯარეთის სახელს ატარებს რამდენიმე ქუჩა. დავით ხელთუფლიშვილის ღვაწლი ფასდაუდებელია XX საუკუნის დასაწყისის ქართული სამართლის განვითარებაში. კომისიის წევრებმა ასევე დადებითი რეკომენდაცია მისცეს აღნიშნულ საკითხს.

მეექვსე საკითხის განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ ქალაქში ინტენსიურად მიმდინარეობს დამისამართების პროცესი. ნაძალადევის რაიონში იმერეთის ქუჩის კონკრეტულ შესახვევებს და გასასვლელებს მიენიჭება პოეტ ვაჟიკა ფხოველის სახელი, რომელიც ტერიტორიის მიმდებად ცხოვრობდა.

კომისიის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით საბურთალოს რაიონში ალექსანდრე ყაზბეგის გამზირთან მდებარე ბაღს მიენიჭება წიგნის სახელი. სივრცის დიზაინიც წიგნის თემატიკითაა გადაწყვეტილი. კითხვის პოპულარიზების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პროექტია.

დამისამართდება ისნის რაიონში წინანდლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩა და მიენიჭება ძმები ყურაშვილების სახელი. ყურაშვილების გვარის წარმომადგენელი ხუთივე ძმა ფილიმონი, ბორისი, ალექსი, მელენტი და ვიტალი იყვნენ მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები. პროფესორები და აკადემიკოსები.

ასევე ისნის რაიონში, ალექსანდრე ალადაშვილის შესახვევს მიენიჭება ექიმის გელა მუხაშავრიას სახელი. დამსახურებული ექიმი, გელა მუხაშავრია ცხოვრობდა ხსენებულ უბანში.

ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგით წარმოდგენილი მეათე საკითხი. გლდანის რაიონში, პატარა ტბის ქუჩის მიმდებარედ დამისამართლდება უსახელო ქუჩა და მიენიჭება მოჭიდავის, ვანო წამალაშვილის სახელი. გლდანი მუდამ გამოირჩეოდა ფალავნების სიმრავლით. კომისიამ დადებითი რეკომენდაცია გაუწია აღნიშნულ საკითხს

დღის წესრიგით გათვალისწინებული მეთერთმეტე საკითხი შეეხება ვაკის რაიონში უსახელო ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლის ერეკლე დანელიას სახელის მინიჭებას

ტერიტორია ახალი განაშენიანებულია. ერეკლე დანელია ცხოვრობდა ხსებენულ უბანში. კომისიამ დადებითად გადაწყვიტა წარმოდგენილი საკითხი.

სხდომის თავმჯდომარის, ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით, სამგორის რაიონში, ახალ პარკში დაიდგა ქართველი შინდლერების მემორიალი. ცნობილია, რომ ქართველმა შიდლერებმა: გრიგოლ ფერაძემ, მიხეილ კედიამ, სერგი მეტრეველმა და საბა კლდიაშვილმა არაერთი ებრაელი გადაარჩინეს საკუთარი სიცოცხლის ფასად. კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ საკითხს.

კრწანისის რაიონში გაგრძელდა კრწანისის ქუჩა.

მთაწმინდის რაიონში, დაბა კოჯორში, სატყეოს ქუჩას და მასთან არსეულ შესახვევს მიენიჭება მონასტრის სახელი. ვინაიდან იქ მდებარეობს მამათა მონასტერი, ხსენებულ ტერიტორიას მოიხსენიებდნენ, როგორც მონასტრის ქუჩას.

კრწანისის რაიონში დამისამართდება ოთხი ახალი უსახელო ქუჩა და მიენიჭება აფხაზეთში დაღუპული მებრძოლების ბადრი ჟვანიას, გია ბერუაშვილის, იური დავითაიას, და ფირუზ მოსიძის სახელები.

მეთექვსმეტე საკითხი შეეხება გლდანის რაიონში რევოლუციის შესახვევისთვის ალექსანდრე მანაგაძის VI ჩიხის სახელის მინიჭებას. ნინო ვარდოსანიძემ აღნიშნა, რომ ქუჩა ატარებდა საბჭოთა რევოლუციის სახელს, რომელსაც გასულ წელს შეეცვალა სახელი. დარჩენილი იყო შესახვევი და ხორციელდება მისი ცვლილება.

მომდევნო საკითხში განხორციელდა ხარვეზის აღმოფხვრა, ვინაიდან ვასილ ყუშიტაშვილის ქუჩა შედგება ორი ერთმანეთთან კავშირში არმქონე მონაკვეთისგან, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი გახდება უწერას შესახვევი.

ასევე დამისამართდება ვაკის რაიონში ნუშის ბაღების მიმდებარედ არსებული უსახელო ქუჩა. ვინაიდან აღნიშნულ ტერიტორიაზე გამწვანების ძირითადი სახეობა ნაძვია, ქუჩას მიენიჭება ნაძვების სახელი. კომისიის წევრებმა მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა თბილისში დუბლირებული ქუჩების შესახებ. ასეთია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქუჩა, რომელიც გვაქვს საბურთალოსა და სამგორის რაიონებში. სამგორის რაიონში მდებარე ქუჩას მიენიჭება აფხაზეთის ომში გმირულად დაღუპული ექიმის ლევან მაჭავარიანის სახელი.

ნინო ვარდოსანიძის ინფორმაციით სამგორის რაიონში, აეროდრომის დასახლებაში მდებარეობს სამი ქუჩა. იქ მაცხოვრებლებთან შეთანხმებით კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ქუჩებისთვის იუსტიციის პოლკოვნიკის, გენერალური პროკურატურის ერთ-ერთი დამაარსებლის ჯემალ გოგიტიძის და პოლკოვნიკების _ აფხაზეთის ომში მონაწილეების ზურაბ ნაირაშვილის და დავით მაისურაძის სახელების მინიჭება.

ოცდამესამე და ოცდამეოთხე საკითხების განხილვისას ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ისნის რაიონში მდებარე თეოდორე უშაკოვის ქუჩის შესახებ. უშაკოვისა ქუჩისა და მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტები. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გზათა ქსელების გეგმარებითი მოწესრიგება. ასევე მეფის რუსეთის პერიოდის ადმირალის (რომელსაც საქართველოსთან კავშირი არ აქვს) ქუჩის სახელის გადარქმევა. ოდისეი დიმიტრიადი მნიშვნელოვანი ღვაწლის მქონე დირიჟორია, ხოლო ოლღა ბახუტაშვილი ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელია.

ნაძალადევის რაიონში მდებარე უსახელო სკვერს და თემქის ქუჩას დაერქმევა რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული მებრძოლების ლევან ჭოჭუას და გიორგი ჯოჯუას სახელები. კომისიის წევრებმა დადებითად გადაწყვიტეს აღნიშნული საკითხები და ერთხმად დაუჭირეს მხარი აღნიშნულ ინიციატივას.

ვაკის რაიონში დამისამართდება ორი უსახელო ქუჩა და მიენიჭება ფილოსოფოსის ჯანსურ კორძაის და აკადემიკოს ლევან ალექსიძის სახელები.

კომისია აქტიურად აგრძელებს თანამშრომლობას ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურთან და აგრძელებს ომში დაღუპული მებრძოლების სახელების უკვდავყოფას. აქედან გამომდინარე სამგორისა და ისნის რაიონებში იარსებებს ვაჟა ბანეთიშვილის სახელობის ქუჩა და გოჩა მორჩილაძის და ილია ბაბუციძის სახელობის სკვერები. ორივე გმირი ცხოვრობდა ხსენებული სკვერების მიმდებარედ. სახელდებები მოთხოვილია ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ.

ნინო ვარდოსანიძემ განიხილა ოცდამეთორმეტე საკითხი. მან კომისიის წევრებს აცნობა, რომ გაიანე ხაჩატურიანის შესახვევებზე მთავარი გზით მოხვედრა რეალურად ხორციელდება თინა ენუქიძის ქუჩის მხრიდან. შესაბამისად მიზანშეწონიალია მათი ჩამოყალიბება თინა ენუქიძის ქუჩის შესახვევებად.

სხდომის თავმჯდომარის ინფორმაციით მნიშვნელოვანია ასევე მთაწმინდის რაიონში, პეტრე მელიქიშვილის ქუჩისთვის პეტრე მელიქიშვილის გამზირის სახელის მინიჭება. პეტრე მელიქიშვილის ქუჩა აკმაყოფილებს გამზირის ყველა პარამეტრს. გარდა ამისა თბილისის მოსახლეობის სრული უმრავლესობა მას პეტრე მელიქიშვილის გამზირად მოიხსენიებს. ამიტომ მნიშვნელოვანია მისთვის დამსახურებულად გამზირის სახელწოდების მიკუთვნებაც.

ნინო ვარდოსანიძემ ისაუბრა ნაძალადევის რაიონში, დავით გურამიშვილის გამზირთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ტარიელ ფუტკარაძის სახელის მინიჭების შესახებ. ქუჩის სახელდებით დამისამართდება იქ მდებარე ტექნიკური უნივერსიტეტის კორპუსი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ოცდამეთხუთმეტე საკითხის შესახებ ნინო ვარდოსანიძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ შემოსული იყო ანსამბლ „ქართული ხმების“ განცხადება, რომლითაც ითხოვდნენ მუხიანში, იოსებ ნონეშვილის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის

მომღერლის ზურაბ ბაკურაძის სახელის მინიჭებას, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა გასულ წელს.

კომისიის წევრებმა დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები დადებითად გადაწყვიტეს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სახელდებისა და სიმბოლიკის

კომისიის თავმჯდომარე

ნინო ვარდოსანიძე